საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-414

ქ. თბილისი

07/04/2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა".
2. დაევალოთ სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებს „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმით" განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.
3. „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში" ასახული ღონისძიებები სამინისტრომ და მის სისტემაში შემავალმა უწყებებმა განახორციელონ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.

ამოცანა: კომპეტენციის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელმისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.

ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარების გზით.

ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარების გზით.

აქტივობა 1. სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში უნივერსალური დიზაინის დანერგვის გზით ან უნივერსალური დიზაინის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების რეალიზების ხელშეწყობა.

ქვეაქტივობა 1.1. სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შენობა-ნაგებობების მშენებლობისას/რეაბილიტაციისას ან/და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობისას „ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შესაბამისი თანამშრომლების ცნობიერების/კვალიფიკაციის ამაღლება.

ქვეაქტივობის შედეგის ინდიკატორი:

გადამზადებულია სულ მცირე 20 თანამშრომელი;

შესრულების ვადა - 2021 წლის მე-3 კვარტალი;

ქვეაქტივობა 1.2. სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ბალანსზე არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შენობების იდენტიფიცირება, ადაპტირებული და დასაადაბტირებელი სტატუსის მითითებით.

ქვეაქტივობის შედეგის ინდიკატორი: იდენტიფიცირებული შენობების ჩამონათვალი შესაბამისი სტატუსის მითითებით.

შესრულების ვადა - 2021 წლის მე-3 კვარტალი;

აქტივობა 2. სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეაქტივობა 2.1 უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ვებგვერდების ადაპტირების გეგმის შემუშავება და ადაპტირებისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა.

ქვეაქტივობის შედეგის ინდიკატორი: სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ვებგვერდების ადაპტირების გეგმა შემუშავებულია და ადაპტირებისათვის საჭირო ღონისძიებები განსაზღვრულია.

შესრულების ვადა - 2021 წლის მე-4 კვარტალი;

2.2 ქვეაქტივობა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება.

ქვეაქტივობის შედეგის ინდიკატორი:

გადამზადებულია სულ მცირე 20 თანამშრომელი.

შესრულების ვადა - 2021 წლის მე-4 კვარტალი.